



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი ზაზა
შეყილაძე

“28” “02” 2018 წელი

N 23/36

ეგზ: N1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს (პროგრამული კოდი 32 00) 2016
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ზოგადი ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	7
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	7
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი	7
1.2.1 კონსოლიდაციის პროცესის ნაკლოვანებები	7
1.2.2 ფულადი სახსრები	8
1.2.3 მოთხოვნები.....	9
1.2.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	10
1.2.5 არასწორი კლასიფიკაცია.....	11
1.2.6 ინვენტარიზაცია	12
1.2.7 აღურიცხავი აქტივები	13
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	15
2.1 საწყისი ნაშთების კორექტირება.....	15
2.2 არასწორი კლასიფიკაცია	16
2.3 დაურეგისტრირებელი და საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქონება ...	18
2.4 განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია.....	19
2.5 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	19
2.5.1 შეუსაბამო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებთან (ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე)	19
2.5.2 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები.....	20
2.5.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებები ...	22
2.5.4 ათვისება წლის ბოლოს.....	22
2.6 შრომის ანაზღაურება	24
2.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებები და საწვავი.....	26
2.7.1 ავტოპარკის ოპტიმიზაცია	26
2.7.2 საწვავის ხარჯვა	26
2.8 „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნებთან შესაბამისობა	28
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	30
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით	31
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართები.....	34

ტერმინთა განმარტება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - **სამინისტრო**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**;

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **შპს**;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - **მართვის სისტემა**;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ფინანსდება
32 01 პროგრამული კოდით - **სამინისტროს ცენტრალური აპარატი**;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება -
ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესახებ

სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი დებულების საფუძველზე.


სამინისტრო ატარებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების განვითარებასა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტრო მოწოდებულია, საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ეს გარემო ეფუძნება არჩევანის თავისუფლებისა და თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაფინანსების და შემოსავლის წყაროა:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
- ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (არასაბიუჯეტო) შემოსავალი.

სქემა 1



სქემა 1

დაზუსტებული გეგმით, სამინისტროს სისტემისათვის გამოყოფილი სახსრები ყველა წყაროდან ჯამურად გათვალისწინებული იყო 7 (შვიდი) პროგრამის დასაფინანსებლად. პროგრამების ხვედრითი წილი და საკასო ხარჯის პროცენტული შესრულება - ათას ლარებში მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1

პროგრამული კოდი	პროგრამა/ხარჯის კლასიფიკაცია	დაზუსტებული გეგმა	ფაქტი	ხვედრითი წილი %	ათვისება %
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1,300,021.16	1,238,532.35	100.00	95.27%
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	22,093.12	21,195.83	1.70	95.94%
32 02	ზოგადი განათლება	580,336.95	578,220.92	44.64	99.64%
32 03	პროფესიული განათლება	53,241.64	48,723.04	4.10	91.51%
32 04	უმაღლესი განათლება	429,583.54	379,829.55	33.04	88.42%
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	72,447.03	69,133.83	5.57	95.43%
32 06	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	79,568.88	79,064.81	6.12	99.37%
32 07	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	62,750.00	62,364.37	4.83	99.39%

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 კონსოლიდაციის პროცესის ნაკლოვანებები:

- მოთხოვნების ანგარიშზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღრიცხულია, მოთხოვნები სსიპ - მართვის საინფორმაციო სისტემის და სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბალანსებიდან, შესაბამისად 110,66 და 57,27 ათასი ლარი (ჯამში: 167,93 ათასი ლარი), რომელთა მიხედვით დებიტორებს წარმოადგენენ სამინისტროს კონტროლირებული ერთეულები. აღნიშნული ნაშთები² კონსოლიდაციის დროს არ არის გამორიცხული;
- ანგარიშგებაში საბუღალტრო ანგარიშზე N1330 „აქციები და კაპიტალი“ ნაშთი 514,18 ათასი ლარი გადმოვიდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „უნი ინვესტი“ (ს. ნ. 205285519) საწესდებო კაპიტალში შენატანს. ამასთანავე, 2013 წლის 28 ოქტომბერს შპს „უნი ინვესტის“ მიერ (ს. ნ. 205285519) 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულია კერძო სამართლის სუბიექტი: შპს „ინოვესტი“ (ს.ნ. 406066625). აქედან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის შპს „ინოვესტის“ (ს.ნ. 406066625) ირიბი 100%

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, დანართები 1-11.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 17, პუნქტი 29.

წილის დამფუძნებელი. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის კონსოლიდირებული შპს „უნი ინვესტის“ (ს. ნ. 205285519) და შპს „ინოვესტის“ (ს.ნ. 406066625) ფინანსური მონაცემები. ინსტრუქციის მიხედვით³, ეს საწარმოები წარმოადგენს სამინისტროს მიერ კონტროლირებულ ერთეულებს, რომელთა კრებითი ფინანსური ინფორმაცია - აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით, უნდა ასახულიყო ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

- ანგარიშგებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების პროგრამის“ მიხედვით, საჯარო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება გაორმაგებულად არის ასახული - ერთხელ, როგორც საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება, ხოლო მეორედ - საჯარო სკოლებისთვის, როგორც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი. ანალოგიურად დუბლირებულია მოცემული პროგრამის ფარგლებში ხარჯები, ერთი და იგივე ხარჯი ასახულია, როგორც მოსწავლეთა ვაუჩერების ხარჯი სახაზინო კოდით - 2.8.2.1.7, ასევე საჯარო სკოლების მიერ როგორც ეკონომიკური საქმიანობის ნაწილში გაწეული ხარჯი. აღნიშნული შეუსაბამობაშია კონსოლიდაციის პრინციპთან.

1.2.2 ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების შესაბამისი მუხლები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია არასწორი სავალუტო კურსის გამოყენებით.

ანგარიშგებაში ეს უზუსტობა აისახა შემდეგნაირად:

ცხრილი 2

ვალუტა	საწყისი ნაშთი	K	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი	K	საბოლოო ნაშთი
CHF	35,032.36	2.4137	84,557.61	1,450.00	2.5982	3,767.39
EUR	517,849.31	2.6137	1,353,502.74	352,757.76	2.794	985,605.18
GBP	334.61	3.5492	1,187.60	1.00	3.2579	3.26
USD	722,552.37	2.3966	1,731,669.01	693,448.09	2.6468	1,835,418.40
უნდა იყოს			3,170,916.96			2,824,794.23
წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში			3,164,608.00			2,749,736.00
სხვაობა			6,308.96			75,058.23

შესაბამისად, ანგარიშგებაში ხაზინის სავალუტო ანგარიშზე - N1280, საწყისი ნაშთი შემცირებულია 6.31 ათასი ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 75.06 ათასი ლარით. მოცემული შეცდომით გამოწვეულმა უზუსტობამ გავლენა იქონია (საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსის) ნაშთებზე (შემცირებულია აქტივების და კაპიტალის ნაშთი), ასევე ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშზე (შემცირებულია ფინანსური შედეგი - წმინდა ღირებულება),

³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის V თავი, მუხლი 24.

ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშზე (შემცირებულია ფულადი სახსრების ნაშთები) და კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშზე (შემცირებულია არასაოპერაციო შემოსავლები).

1.2.3 მოთხოვნები

- N1355 საბუღალტრო ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მომსახურების მიწოდებით“ - 35,531.32 ათასი ლარი გადმოვიდა უმაღლესი დაწესებულებების ბალანსიდან - ეს არის მოთხოვნები სტუდენტების მიმართ, რომლებიც წარმოშობილია სწავლების მომსახურების გაწევის საფუძველზე. უნივერსიტეტები გაწეული სწავლების მომსახურების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნების აღრიცხვისას იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. კონსოლიდაციის დროს, ამ ნაწილში არ მომხდარა ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე მოთხოვნების კორექტირება და არც განმარტებით შენიშვნებშია მითითებული და დასაბუთებული აღნიშნულის შეუძლებლობა. საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა აღნიშნული მოთხოვნების ინვენტარიზაცია. კონტროლის სისტემის ეფექტიანობა ამ შემთხვევაში, ზოგიერთი უნივერსიტეტის მიხედვით, დაბალია. ამასთანავე, სტუდენტთა დიდი რიცხოვნობის, სტუდენტთა იდენტიფიცირებისათვის პერსონალურ მონაცემთა წვდომის შეზღუდვის გამო, შეუძლებელი იყო დამატებითი აუდიტორული პროცედურებითაც საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება. აქედან გამომდინარე, არ დასტურდება N1355 საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მომსახურების მიწოდებით“ - 35,804.73 ათასი ლარის ნაშთის სისწორე.
- N1440 საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ირიცხება 212.84 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნას. აქედან: 47.96 ათასი ლარი წარმოადგენს უნივერსიტეტში 2007 წლის რეორგანიზაციის შემდეგ საწყის ნაშთად დაფიქსირებულ თანხას, ხოლო 136.11 ათასი ლარი - 2010 წელს რეორგანიზაციის შედეგად შემოერთებული ინსტიტუტების (ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი - 135.19 ათასი ლარი⁴, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი - 0.9 ათასი ლარი) მოთხოვნებს. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მოცემული მოთხოვნების წარმოშობის საფუძველები და არ ფლობს ინფორმაციას დებიტორების თაობაზე. რაც შეეხება 28.76 ათასი ლარის დანაკლისებით წარმოშობილ მოთხოვნებს, აუდიტის ჯგუფს მიეწოდა სიის მიხედვით მონაცემები და პასუხისმგებელ პირთა ახსნა-განმარტებები. ახსნა-განმარტებითი ბარათების ნაწილში მატერიალურად პასუხისმგებელი პირები აღნიშნავენ, რომ მათთვის უცნობია აღნიშნული ინვენტარის მდგომარეობა, რადგან ფიზიკურად არ ჩაუბარებიათ და არ იღებენ პასუხისმგებლობას აღნიშნული ინვენტარის არსებობაზე.

4 ინსტიტუტის დირექტორის მ/შ-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს დამნაშავე პირზე აღმასრულებელი ფურცლით დაკისრებულ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც 1994 წლიდან ირიცხება. აუდიტის ჯგუფს არ მიეწოდა აღსრულების ფურცელი.

1.2.4 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

დარღვეულია ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის პრინციპები.⁵ კერძოდ:

არასწორი ცვეთის ნორმების გამოყენება - სამინისტროს დაქვემდებარებული უნივერსიტეტების (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 149 ერთეული; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 62 ერთეული; აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი - 54 ერთეული) შენობა-ნაგებობებზე განურჩევლად მათი კატეგორიებისა, დარიცხულია ცვეთა 1%-ის ოდენობით. შესაბამისად, არ არის გამიჯნული ცვეთის ნორმა შენობა-ნაგებობის კატეგორიების მიხედვით. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის კატეგორიების იდენტიფიცირებისათვის, აქედან გამომდინარე, ვერ დაადგინა აღნიშნულ აქტივებზე რეალური ცვეთის ხარჯი.

არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის არასწორი გაანგარიშება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ 1,222.87 ათასი ლარის ღირებულების არამატერიალურ ძირითად აქტივებს ერთობლივად დარიცხული აქვს 10%-იანი წლიური ცვეთა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ 672.28 ათასი ლარის ღირებულების არამატერიალურ ძირითად აქტივებს ერთობლივად დარიცხული აქვს 11%-იანი წლიური ცვეთა. ამავე დროს, ობიექტის მხრიდან ვერ ხერხდება არამატერიალური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. იქ სადაც შესაძლებელია აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა, აუდიტის ობიექტის მიერ ცვეთის ხარჯი სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად⁶ არ არის დაანგარიშებული.

შეცდომები ცვეთის ნორმების გამოყენებაში - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობის წლიური ცვეთის ნორმად გამოყენებულია 3.53%. ამის გამო, გაზრდილია ცვეთის ხარჯი 593,87 ათასი ლარით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გრავიტაციის საზომ მოწყობილობებს (ისტორიული ღირებულებით 511.32 ათასი ლარი) დარიცხული აქვს 20%-იანი წლიური ცვეთა 102.26 ათასი ლარის ოდენობით. ამგვარი მოწყობილობის ისტორიულ ღირებულებას უნდა ერიცხებოდეს 10% წლიური ცვეთის ნორმა.⁷ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში 732.28 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივებს, არასწორად დარიცხული აქვს 27,826 ლარის ოდენობის ცვეთის ხარჯი. ამ აქტივებზე უნდა დარიცხულიყო 54,178 ლარის ცვეთის ხარჯი. ამის გამო, 26,651 ლარით შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში (შემოსავლების და ხარჯების შესახებ ანგარიში). შესაბამისად, ამავე ოდენობით გაზრდილია „წმინდა კაპიტალის“ მუხლი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში (ბალანსში).

⁵ 2002 წლის 31 დეკემბერის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439.

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N429 ბრძანება, მუხლი 39, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

⁷ 2002 წლის 31 დეკემბერის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439, შიფრი 4153.

ცვეთა არაა დარიცხული:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - 36.59 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების 11 ერთეულის ძირითად აქტივებზე (პორტატული კომპიუტერი, სისტემური ბლოკი და სხვ.);
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში - 2,063.11 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითად აქტივებზე;
- აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში - 36.25 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების ძირითად აქტივებზე.

სსიპ - ების ხელმძღვანელების განმარტებით, ეს აქტივები დასაწყობებულია და არ არის ექსპლუატაციაში. ინსტრუქციის⁸ მიხედვით, ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაინგარიშება ყველას სახის მატერიალურ და არამატერიალურ ძირითად აქტივთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, აქტივი არის თუ არა ექსპლუატაციაში. შესაბამისი ნორმების გათვალისწინებით ამ კონკრეტულ აქტივებზე, სავარაუდოდ უნდა დარიცხულიყო, დაახლოებით 406.84 ათასი ლარის ოდენობის ცვეთის ხარჯი. შესაბამისად, ამავე ოდენობით შემცირებულად არის წარმოდგენილი ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში (შემოსავლების და ხარჯების შესახებ ანგარიში) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი და გაზრდილად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში (ბალანსში) „წმინდა კაპიტალის“ მუხლი.

1.2.5 არასწორი კლასიფიკაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბალანსზე აღრიცხულია ისეთი აქტივები, რომლებიც არ შეესაბამება არასაცხოვრებელი შენობების კლასიფიკაციის მუხლს⁹. არასაცხოვრებელ შენობად აღრიცხულია 3,382.96 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 17 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების ძირითადი აქტივი. აქედან, 19500.67 კვ. მეტრი საერთო ფართობით - 7 ერთეული შენობა-ნაგებობა მისამართზე: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. N3 (ყოფილი - ქერჩის მე-2 შესახვევი) აღრიცხვაში ასახულია, როგორც 1 (ერთი) ერთეული აქტივი - 3,219.79 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წესის მიხედვით¹⁰, თითოეული შენობა - ნაგებობა განიხილება ცალკე ერთეულად. „ძირითადი აქტივების“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა“ და „მატერიალური მარაგების“ მუხლებზე გადანაწილებულია აქტივები, რომლებიც აღიარებული უნდა იყოს, როგორც 1,858.34 ათასი ლარის ჯამური ღირებულების ფასეულობები და ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს ცალკე მუხლად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. 119.29 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების 17 ერთეული არასაცხოვრებელი შენობიდან, 10 ერთეული - კლასიფიცირებული უნდა იყოს და ირიცხებოდეს „სხვა მანქანა - დანადგარებსა და ინვენტარში“, 7 აქტივი კი - როგორც „სხვა მცირეფასიანი აქტივი“. ძირითად საშუალებებში,

⁸ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 429 ბრძანება, მუხლი 33, პუნქტი 23.

⁹ 2010 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 672.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N429 ბრძანება, მუხლი 15, პუნქტი 4.

კერძოდ, სხვა „მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარში“ რიცხული 850 ერთეული აქტივი, ისტორიული ღირებულებით 70.97ათასი ლარი, უნდა ირიცხებოდეს „გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებში“, ხოლო 25.99 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების - უნდა ირიცხებოდეს „ფასეულობებში“, კერძოდ, მვირფას ქვებსა და ლითონებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არასაცხოვრებელ შენობებად აღრიცხულია 895,66 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 2 ერთეული სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, ხოლო 24,7 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 3 ერთეული, უნდა ირიცხებოდეს „სხვა შენობა - ნაგებობების“ ანგარიშზე.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. 308 ერთეული 96.19 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივი აღრიცხულია N2122 საბუღალტრო ანგარიშზე, მაგრამ არ აკმაყოფილებს გრძელვადიანი აქტივის აღიარების კრიტერიუმებს და უნდა ირიცხებოდეს, როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. არასაცხოვრებელ შენობებში რიცხულია 18 ერთეული 10.98 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივი, რომლებიც უნდა ირიცხებოდეს „სხვა მანქანა - დანადგარების და ინვენტარის“ მუხლში.

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი. ძირითად საშუალებებში, კერძოდ, სხვა ნაგებობებში, კლასიფიცირებულია ისეთი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს და უნდა იყოს კლასიფიცირებული, როგორც სხვა მცირეფასიანი აქტივები და დაუმთავრებელი წარმოება; მუხლში „სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი“ კლასიფიცირებულია ისეთი აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს და უნდა იყოს კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში დაშვებული უზუსტობები გავლენას ახდენს ხარჯებსა და კაპიტალზე.

1.2.6 ინვენტარიზაცია

აუდიტის ობიექტის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მასალების შესწავლით გაირკვა, რომ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული ინვენტარიზაციის წესის¹¹ მოთხოვნათა დაცვით. შერჩეულ ორგანიზაციებში (სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემოერთებული სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო) 2016 წელს ჩატარებულმა ინვენტარიზაციამ არ მოიცვა სრულად ქონება, მოთხოვნები და ვალდებულებები. ინვენტარიზაციის მასალებიდან ირკვევა, რომ ობიექტზე არ ტარდება აქტივების ფაქტობრივი აღწერა და შემდგომში შედეგების ბუღალტრულ მონაცემებთან შედარება. ინვენტარიზაციის კომისიის წევრების მიერ ხდება ბუღალტრული რეესტრების ამოღება და მისი მეშვეობით ფაქტობრივი მონაცემების შევსება, რითაც დარღვეულია

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

ინვენტარიზაციის ჩატარების წესის¹² მოთხოვნები. თავის მხრივ, აღნიშნული უწყისები წარმოებულია ხარვეზებით და არასრულყოფილად. კერძოდ:

- ინვენტარიზაციის უწყისებს არ გააჩნია საინვენტარიზაციო აღწერები მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერით;
- საინვენტარიზაციო აღწერები არ არის ხელმოწერილი კომისიის ყველა წევრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ;¹³
- ხშირ შემთხვევაში გრძელვადიან აქტივებს არ გააჩნიათ საინვენტარო ნომრები, შერჩევითი ინვენტარიზაციის დროს შეუძლებელი იყო აქტივის სწორად იდენტიფიცირება და შედარება საბუღალტრო უწყისების მონაცემებთან;
- ყველა აქტივზე არაა მითითებული პასუხისმგებელი პირები;¹⁴
- არ არის გამოყოფილი გამოყენებისათვის უვარგისად ქცეული აქტივები და მათი ასეთად ქცევის მიზეზი.¹⁵

არ არის უზრუნველყოფილი აქტივების დაცულობა მათ შესაძლო დატაცებაზე ან განადგურებაზე. შერჩეული აქტივების ინდივიდუალური დათვალიერებისას გამოვლინდა ინსტრუქციით მოთხოვნილი აქტივების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევები.

ინვენტარიზაციების უმეტესობა სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთეულებში დაიწყო აუდიტის დაწყებამდე და შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო ინვენტარიზაციის პროცესებზე დასწრება. აუდიტის პროცესში დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგები არ არის გამოყვანილი და ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად ასახული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა განგვესაზღვრა ინვენტარიზაციის შედეგების გავლენა არაფინანსური აქტივების ნაშთებზე. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ ადასტურებს ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივების, აგრეთვე, ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივების, ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების ნაშთების სიზუსტეს და სისრულეს. ასევე, ობიექტის მხრიდან ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე და მათი ექსპლუატაციის წესების დაცვაზე კონტროლის არსებობას.

1.2.7 აღურიცხავი აქტივები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული 27,742,636 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება ცვეთის შედეგად ამორტიზებულია.

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

„საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ -

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-8 მუხლის 21-ე პუნქტი

აღნიშნული აქტივები უნდა ირიცხებოდეს ბალანსის საცნობარო მუხლზე, როგორც ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ბალანსზე არ არის აღრიცხული ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნაწარმი, რომელიც ცდებისა და სხვადასხვა ლაბორატორიული მიზნებისათვის გამოიყენება. აღნიშნული ნაწარმი შეადგენს 135 გრამ პლატინის ნაკეთობებს.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 საწყისი ნაშთების კორექტირება

2016 წლის ბალანსში საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთები არ ედრება საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდის საბოლოო ნაშთებს. დარღვეულია საანგარიშგებო პერიოდებს შორის ნაშთების მემკვიდრეობითობა. კერძოდ:

- აქტივების და მოთხოვნების ჯამი შემცირებულია 22,834 ლარით;
- ვალდებულებების მუხლების ჯამი გაზრდილია 406,986 ლარით;
- კაპიტალის მუხლების ჯამი შემცირებულია 429,820 ლარით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსის პერიოდის ბოლოს რიცხული ფულის, ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნაშთები 2016 წლის ბალანსის საწყის ნაშთებში გადანაწილებულია სხვადასხვა ანგარიშებზე, ხოლო ჯამური ნაშთი შემცირებულია 13,834 ლარით, რაც გამოწვეულია:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანართი 1-ის ფულადი საშუალებების ნაშთი წლის დასაწყისში გაზრდილია 211 ლარით, მიზნობრივი გრანტის უკან დაბრუნებული თანხით, რომელიც 2015 წელს აღიარებული იყო ფაქტობრივ ხარჯად და შემცირებულია 50,000 ლარით, რაც გამოწვეულია ხაზინის მიერ საწყისი ნაშთის კორექტირებით და შესაბამისად, შემცირებულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთი.
- გაზრდილია მიზნობრივი გრანტების ფულის საწყისი ნაშთები: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსში - 19,570 ლარით და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ბალანსში - 2,592 ლარით. აუთვისებელი და დაბრუნებული მიზნობრივი გრანტის თანხები ხაზინის დაზუსტებულ ამონაწერებში აისახა 2016 წლის საწყის ნაშთებში.
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსში 3,244 ლარით გაიზარდა 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საწყისი ფულის ნაშთი (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფული, ხაზინაში კომერციული ბანკებიდან თანხების გადმოტანის დროს შეცდომით ჩაერიცხა სხვა დაწესებულებებს და 2016 წელს გარკვევის შემდეგ, აისახა ფულის საწყის ნაშთში).
- ბალანსს დაემატა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სულხან ცინცაძის სახელობის გორის სამუსიკო სასწავლებლის ფულის საწყისი ნაშთი - 1,547 ლარი.
- სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიზნობრივი გრანტის საწყისი ნაშთი გაზრდილია - 9, 000 ლარით. 2015 წელს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარზე აპარატის გრანტიდან შეცდომით განხორციელდა ანგარიშსწორება, რომელიც გასწორდა და აღდგენილია მიზნობრივი გრანტის ასიგნების საწყის ნაშთებში 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით.

ფინანსური მოთხოვნების ანგარიშზე საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის წინა წლის საბოლოო ნაშთთან შედარებით, შემცირებულია 9,000 ათასი ლარით. მათ შორის:

1. შემცირებულია საბიუჯეტო გადასახადები ჯამურად - 651 ლარი.
2. გაზრდილია მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით - 726 ლარით.
3. შემცირებულია მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით - 1,375 ლარით.
4. შემცირებულია მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით - 75 ლარით.
5. შემცირებულია სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები - 7,625 ლარით.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსის) ანგარიშის ვალდებულებების მუხლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი ჯამურად საანგარიშგებო პერიოდის წინა პერიოდის საბოლოო ნაშთთან შედარებით, გაზრდილია 406.99 ათასი ლარით. ეს ცვლილება მოდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ბალანსზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტზე. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით, საანგარიშგებო პერიოდში შეიცვალა არარეზიდენტი სტუდენტების მიერ შემოტანილი სწავლის საფასურის შემოსავლად აღიარების მეთოდი: თუ ადრე სწავლის საფასურის თანხების შემოსავლად აღიარება ხდებოდა საკასო მეთოდით, საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალი აღირიცხებოდა დარიცხვის მეთოდით და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები „ვალდებულებების“ და „გაუნაწილებელი მოგების“ მუხლში.

2.2 არასწორი კლასიფიკაცია

საბალანსე ანგარიშზე N1432 „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ლიკვიდირებული ორგანიზაციების და გასული პერიოდის პროგრამების მიხედვით, ირიცხება დებიტორული დავალიანება 830,14 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს იაკობ გოგებაშვილის პროგრამის ფარგლებში კომპანიებზე სკოლების რეაბილიტაციისთვის ავანსად გადარიცხულ თანხებს. ამ თანხებზე მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილებები და გადაცემულია აღსრულებაზე 2010 წლიდან.

ცხრილი 3

კომპანია	სააღსრულებო საწყისი თანხა	სტატუსი	აღსრულებაში შეტანის თარიღი	N1432 ანგარიშზე აღრიცხული ნაშთი
სს „დასავლეთ- საქართველოს ჰიდრო“	384.20	მიმდინარეობს სააღსრულებო პროცედურები	09/11/10	25.26
შპს „პილონი 2005“	26.51	დღემდე არ არის სასამართლოში წარდგენილი		242.52
შპს „ფირმა 89“	25.26	დღემდე არ არის სასამართლოში წარდგენილი მისამართის გაურკვევლობის გამო		26.51
შპს „ამაღლება 98“	1,007.72	მიმდინარეობს სააღსრულებო პროცედურები	11/11/11	518.84
შპს „ნოვა 3“	17.02	არ უნდა ასახულიყო	29/11/2011	17.01
				830.14

იმ შემთხვევაში, თუ ავანსად გაცემული თანხების შედეგად აქტივების და მომსახურების მიწოდება ვერ ხორციელდება, აღნიშნული თანხები რეკლასიფიცირდება ფულად სახსრებზე მოთხოვნად¹⁶ და აღირიცხება 1355 ანგარიშის დებეტში, 1430 ანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით.

საქონლის და მომსახურების, აგრეთვე აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებზე რიცხული დავალიანების ამოსაღებად, სამინისტროს და მისი კონტროლირებადი ერთეულების შესაბამისი სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისი, დაგვიანებული და უშედეგო აღმოჩნდა. საქმის განხილვები სასამართლოში გაჭიანურებულია დროში, მთელ რიგ დებიტორებს საერთოდ არ ფლობენ აქტივებს ან შეწყვეტილი აქვთ ფუნქციონირება ან საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი დავალიანების დასაფარავად.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 26, პუნქტი 26.

2.3 დაურეგისტრირებელი და საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქონება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, განსაკარგავად გადაეცემა მხოლოდ სარგებლობის უფლებით, რის შემდგომაც აღნიშნული უფლება საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტროს იმ საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება.¹⁷

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 40 ერთეული 13,943.95 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება საკუთრების უფლებით.
- უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 3 ერთეული უძრავი ქონება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, აღნიშნული აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 31.24 ათას ლარს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 80 ერთეული 138,720.24 ათასი ლარის ღირებულების უძრავი ქონება საკუთრების უფლებით.
- უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 27 ერთეული შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, აღნიშნული აქტივების საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენს 3,988.97 ათას ლარს. აგრეთვე არ არის რეგისტრირებული 28 ერთეული მიწის ნაკვეთი, საბალანსო ღირებულებით 7,397.89 ათასი ლარი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 52 ერთეული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით, რომლის ნარჩენი საბალანსე ღირებულება შეადგენს 28,508.70 ათას ლარს.
- ბალანსზე გადმოცემულია 3 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომლებიც არ არის რეგისტრირებული (ბოლნისის აზერბაიჯანული სკოლის შენობა (ქ. ბოლნისი), შენობა თბილისის ზღვაზე (ზოოლოგიის ინსტიტუტი), კოჯრის ნაგებობა). ნარჩენი საბალანსე ღირებულება შეადგენს 37.21 ათას ლარს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულია 3 ერთეული უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, აღნიშნული აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს 2,756.95 ათას ლარს. ასევე ბალანსზე რიცხულია 2 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ღირებულებით 527.64 ათას ლარი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

17 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილება.

უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება 7 ერთეული მიწის ნაკვეთი საკუთრების ფორმით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 14,591.89 ათას ლარს. ასევე, უნივერსიტეტი საკუთრების უფლების ფორმით ფლობს 50 ერთეულ შენობა-ნაგებობას, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 32,079.45 ათას ლარს.

2.4 განმარტებით შენიშვნებში ანგარიშგების მუხლების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია

სამინისტროს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არასაკმარისადაა წარმოდგენილი ანგარიშგების მუხლების ტექსტური აღწერილობა. მათ შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით შენიშვნებში დაფიქსირებული არ არის, რაც ხელს უშლის ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი კონტროლირებადი ერთეულების ჭრილში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე არაფინანსური აქტივების რეესტრი. ეს აქტივები სამინისტროს ერთეულების მიერ არ გამოიყენება და მათგან სარგებელი არ მიიღება.

2.5 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

2.5.1 შეუსაბამო საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნებთან (ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე)

სამინისტროს კონტროლირებული სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში – მართვის სისტემა) მიზანია ¹⁸ განათლების სფეროში თანამედროვე ინფორმაციულ – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათი მონიტორინგი/შეფასება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების გზით, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადება. საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად, სახელმწიფო პროგრამა „პროფესიული განათლება“, რომელიც 32 03 სახაზინო კოდით განისაზღვრა, შედგება ქვეპროგრამებისგან. აქედან ერთ-ერთი ქვეპროგრამის განმახორციელებელი არის მართვის სისტემა. ამავ კანონის მიხედვით, მართვის სისტემის ბიუჯეტი 32 03 03 კოდზე დამტკიცდა, რომელიც პროფესიული განათლების ხელშეწყობას მხოლოდ ნაწილობრივ მოიაზრებს, ვინაიდან უწყების საქმიანობის მასშტაბი არა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობით შემოიფარგლება, არამედ სრულად მოიცავს განათლების სფეროს ინფორმაციულ – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში „პროფესიული განათლების“ პროგრამის ფარგლებში (კოდი: 32 03) საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეულ იქნა 48,723,039 საკასო ხარჯი, ხოლო მართვის სისტემის სახაზინო კოდზე (32 03 03) გახარჯულმა სახსრებმა შეადგინა 15,400,065 ლარის საკასო ხარჯი. აქედან, პროფესიული განათლების ხელშეწყობის ფარგლებში მიღებული ვაუჩერული დაფინანსების საკასო ხარჯი შეადგენს 281,145 ლარს. შედეგად, ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი გარდა

¹⁸ <http://publicinfo.emis.ge>

ვაუჩერული დაფინანსებისა 15,118,920 ლარით (15,400,065 – 281,145) ზღის „პროფესიული განათლების“ პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას. მეორე მხრივ, საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, მართვის სისტემას დაუმტკიცდა 9,881,000 ლარის ოდენობის საბიუჯეტო სახსრები (სახაზინო კოდი: 32 03 03), რაც ანალოგიურად ზრდის პროფესიული განათლების პროგრამის გეგმურ მაჩვენებლებს.

2.5.2 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები

2016 წელს პროგრამებს, ქვეპროგრამებს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კვარტლებს შორის ასიგნებების გადანაწილების საფუძველით განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის 188 ცვლილება, თანხით - 135,223 ათასი ლარი. ცვლილებების აღნიშნული რაოდენობიდან, მხოლოდ 23 ცვლილების საფუძველზე პროგრამებს შორის გადანაწილებულმა თანხამ 33,973 ათასი ლარი შეადგინა, რაც დამტკიცებული ასიგნების 3.78%-ს შეადგენს. მხარჯავი უწყებები სრულად აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით დადგენილ ლიმიტებს - პროგრამებს შორის გადანაწილებული თანხა არ აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტის 5%-ს, მიუხედავად ამისა, პროგრამებს/ქვეპროგრამებს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილებული თანხების მასშტაბურობა და სიხშირე მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არსებულ ხარვეზებზე. ამასთანავე, 2015 წელთან შედარებით გადანაწილებული ასიგნებების მოცულობა და სიხშირე ზრდის ტენდენციით ხასიათდება:

ცხრილი 4

წელი	პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამებს, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს და კვარტლებს შორის გადანაწილება		პროგრამებს შორის გადანაწილება		%თანაფარდობა დამტკიცებულ ბიუჯეტთან
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	
2016	188	135,223	23	33,973	3.78%
2015	164	126,386	19	13,791	1.6%

ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში მნიშვნელოვნად მაღალია, მაშინ როდესაც დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში მათი ათვისება საკმაოდ დაბალია.

(ათას ლარებში):

ცხრილი 5


პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	საკასო / დამტკიცებული	% გადახრა
32 02 02 02	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამები	12,715	11,121	10,928	(1,787)	14%
32 02 06	მოსწავლეების სახელმძღვანელოები თ უზრუნველყოფა	11,919	7,308	7,304	(4,615)	39%
32 03 01 01	პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	23,550	10,927	10,892	(12,658)	54%
32 04 03	უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა	5,000	200	180	(4,820)	96%
32 06 01 02	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა	6,000	92	92	(5,908)	98%
32 06 02 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	43,760	38,415	38,150	(5,610)	13%
32 06 02 04	სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება	5,931	995	986	(4,945)	83%
32 07 01 01 01	განათლების ქვეპროექტები (MCC)	10,540	8,820	8,735	(1,805)	17%

2.5.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებები

2016 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 8 უმაღლესი სასწავლებლის 14 პროექტი, ჯამური თანხით 619,310 ლარი. საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის ათვისებულმა თანხამ შეადგინა 574,076 ლარი. სახსრები მიმართული იყო იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებს (პროექტები განხორციელდა 2015 წელსაც), არ წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ ხარჯს და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მათი გათვალისწინება შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციის ასიგნებებში. ასეთი პროექტებია: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, „ვისწავლოთ ქართული“, „ნიადაგების მიკრობიოლოგიური პრობლემების შესწავლა“, „უცხოელი პროფესორების აკადემიური და სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება საქართველოში“. სხვა შემთხვევებში ხდებოდა ისეთი ღონისძიებების დასაფინანსება, რომლებიც არ ატარებს სისტემატურ ხასიათს, თუმცა მათი მნიშვნელობიდან, მასშტაბიდან და ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯად. შესაბამისად, შესაძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მათი გათვალისწინება მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტები თავისივე შინაარსით არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ, სარეზერვო ფონდებიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების მახასიათებლებს.

2.5.4 ასიგნებების ათვისება წლის ბოლოს

სამინისტროსა და მისი კონტროლირებული ერთეულების მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული საკასო ხარჯები გვიჩვენებს, რომ დეკემბრის ბოლოს გაწეული ხარჯები არსებითად აღემატება წინა თვეებში გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელს (სახელმწიფო სასწავლო გრანტების ხარჯის გარეშე). ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზის მონაცემები არ შეიცავს ინფორმაციას შემდეგ საბიუჯეტო დაწესებულებებზე: სახელმწიფო უნივერსიტეტები, რესურსცენტრები, სკოლები და კოლეჯები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სახაზინო კოდი და პროგრამა კოდით: 32 02 01, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებას უზრუნველყოფს.



გრაფიკი გვიჩვენებს, რომ დეკემბერში გაწეული საკასო ხარჯი 29% -ით აღემატება 2016 წლის დანარჩენი თვეების საშუალო მაჩვენებელს.

ინფორმაცია საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით დეკემბერში გაწეული საკასო ხარჯის შესახებ:


ცხრილი 6

ხარჯის კატეგორია	2015 წელი	2016 წელი	2015 წლის დეკემბრის თვის წილი წინა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან	2016 წლის დეკემბრის თვის წილი წინა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან
არაფინანსური აქტივების ზრდა	45,554,663	41,367,132	232%	114%
გრანტები	2,960,274	29,917,271	-56%	712%
ვალდებულებების კლება	164,732	129,272	-100%	-100%
საქონელი და მომსახურება	66,066,973	75,211,293	95%	146%
სოციალური უზრუნველყოფა	2,650,941	2,699,399	208%	191%
სუბსიდიები	247,015	258,289	-13%	-18%
სხვა ხარჯები	185,430,729	161,278,812	373%	272%
შრომის ანაზღაურება	24,864,297	25,264,505	51%	24%
ჯამში	327,939,623	336,125,972	255%	228%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 წლის დეკემბერში საკასო ხარჯი წინა სხვა თვეების საშუალო მაჩვენებელთან მიმართებით განსაკუთრებით გაზრდილია საბიუჯეტო

კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით: „სხვა ხარჯები“ - 2.7-ჯერ, „საქონელი და მომსახურება“ - 1.5 ჯერ, „გრანტები“ - 7-ჯერ.

2015-2016 წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტების მიხედვით, დეკემბრის ბოლოს გაწეული ხარჯები 78%-ით აღემატება წინა თვეებში გაწეული ხარჯების საშუალო ოდენობას.



სქემა 3

დეკემბერში გაწეული საკასო ხარჯი მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ თვეებში გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებელს.

2.6 შრომის ანაზღაურება

- სამინისტროს ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე 12 თებერვლის N83 ბრძანების შესაბამისად, დაინიშნა ყოველთვიური ფიქსირებული დანამატი, წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სამინისტროს 55 თანამშრომელს დაენიშნა ჯამურად 41.581 ათასი ლარის ოდენობის დანამატი (ერთი თვის ფონდი). დანამატი დანიშნულია მხოლოდ ხელმძღვანელ პირებზე წინასწარ, წლის დასაწყისში, სრულ წელზე. შესაბამისად, დანამატის გაცემის საფუძველს არ/ვერ წარმოადგენს კონკრეტული პირის შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივი შედეგი, რეალურად დახარჯული დამატებითი საათები და არანორმირებული სამუშაო. ყოველთვიური გაცემის წესიდან გამომდინარე, გაცემული დანამატი თავისი შინაარსით უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს. დანამატი გაიცემა შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, რისი განსაზღვრაც წლის დასაწყისში შეუძლებელია.
- „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გაწეული ხარჯები სრულად არ ასახავს სამინისტროში შტატთან თანამშრომლებზე გაცემული ხელფასის, პრემიისა და

დანამატის მოცულობას. ანალოგიური ვითარებაა „საქონელი და მომსახურების“ „შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურების“ მუხლებზეც. შტატიდან და შტატგარეშე თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურება ასევე გაიცემა „სუბსიდიისა და სხვა ხარჯების“ მუხლიდანაც.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გაწეული ხარჯები (ათას ლარებში)

ცხრილი 7

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	მიზ. გრანტი	სარეზერვო ფონდი	საკუთარი სახსრები	სულ
თანამდებობრივი სარგო					
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	20,467	133	-	114,759	135,360
2.5.4 სუბსიდია	18,363	93	16	-	18,472
2.8.2.1.18.4 სხვა ხარჯები	6,766	-	-	-	6,766
33.1.8.4 ვალდებულების კლება	-	-	-	590	590
სულ	45,597	226	16	115,350	161,189
პრემია					
2.1.1.1.3 პრემია	2,664	3	-	10,433	13,100
2.5.6 სუბსიდია	945	-	-	-	945
2.8.2.1.18.5 სხვა ხარჯები	457	-	-	-	457
სულ	4,066	3	-	10,433	14,502
დანამატი					
2.1.1.1.4 დანამატი	510	1	-	2,542	3,052
2.5.7 სუბსიდია	36	-	-	-	36
33.1.8.7 ვალდებულების კლება	-	-	-	0,17	-
სულ	545	1	-	2,542	3,088

2.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებები და საწვავი

2.7.1 ავტოპარკის ოპტიმიზაცია

- ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმა აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებას უნდა წარედგინა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიისთვის 2014 წლის 1 აპრილამდე. 2014 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიმართეს წერილით¹⁹ სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების ავტოპარკის ოპტიმიზაციის გეგმასთან დაკავშირებით და წარადგინეს განმარტებები სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობისთვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე. აღნიშნულ წერილზე რეაგირება არ განხორციელებულა, შესაბამისად, არ დამტკიცებულა ოპტიმიზაციის გეგმა და არ განხილულა მხარჯავი დაწესებულებების მიერ სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობისთვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე გაკეთებული განმარტებები, რის გამოც ვერ ხერხდება მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 განკარგულებით „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული ავტომობილების ფლობის რაოდენობებზე გამონაკლისის საფუძვლის დადგენა.
- 2016 წელს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა 36 ერთეული ექსპლუატაციაში მყოფი სატრანსპორტო საშუალება. ამავე წელს უნივერსიტეტმა შეისყიდა 2 (ორი) სატრანსპორტო საშუალება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 125,780 ლარი. მათ შორის, 2014 წელს გამოშვებული სამგზავრო მიკროავტობუსი HYUNDAI COUNTI, რომლის ღირებულებამ შეადგინა 111,580 ლარი. შესყიდული ავტობუსის ტექნიკური მახასიათებლები და ღირებულება არ შეესაბამება 2014 წლის მთავრობის N121 განკარგულებით მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებს. მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის N266 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიისთვის უნივერსიტეტს არ მიუმართავს ავტომობილის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე წინამდებარე წესიდან გამონაკლისების დაშვების შესახებ²⁰.

2.7.2 საწვავის ხარჯვა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს კონტროლირებული 42 საბალანსე ერთეულისგან წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით დადგინდა:

¹⁹ MES 6 14 00179456

²⁰ მუხლი 7 (წესით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენა).

- საწვავის მოხმარებაზე დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ათვისებულ იქნა საწვავის 70%. (მაგალითად: სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ ათვისებულ იქნა ლიმიტების 65%, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 61%, სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 50%, სსიპ – სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 51%);
- 25 ერთეულ ავტომობილზე არ არის დაწესებული ლიმიტის ბარიერი. ამ პირობით 34,669 ლიტრის ოდენობის საწვავი გაიხარჯა;
- განპიროვნებული სარგებლობის უფლებით თანამდებობის პოზიციასთან შეუსაბამოდ გამოვლენილი ავტომობილების რაოდენობამ შეადგინა 11 ერთეული. აღნიშნული ავტომობილების მიხედვით, ლიმიტის ფარგლებში გახარჯა 13,678 ლიტრის საწვავი;
- სამინისტროს მიერ კონტროლირებული ერთეულების ჩათვლით, ბალანსზე რიცხულია 233 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და 40 ერთეული სასწავლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა, რომელიც 2016 წელს არ გამოუყენებიათ. აღნიშნული ტექნიკის უმრავლესობა მოძველებულია და არ არის ექსპლუატაციაში;
- ბალანსის დანართ 8-ში ზედმეტად წარმოდგენილია 35 ერთეული სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და მოწყობილობა, რაც ამავე ოდენობით ზრდის ინფორმაციას ბალანსის დანართში წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის შესახებ;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს (სულ 17 პირი, აქედან: 6 - სამსახურის უფროსი, 2 - უფროსი სპეციალისტი, 2 - მთავარი ადმინისტრატორი) გამოყოფილი აქვთ საწვავის ლიმიტი პირადი მოხმარების ავტომობილებზე. ამგვარად, ლიმიტი მიღებული აქვს 17 ხელმძღვანელ პირს. აღნიშნული თანამდებობის პირები არ ექვემდებარებიან სახელმწიფო ავტომობილების განპიროვნებული უფლებამოსილებით გამოყენებას.²¹ უნივერსიტეტის კონტროლირებული ერთეულების საწვავის უზრუნველსაყოფად, „სუბსიდიის“ მუხლიდან გაიხარჯა 32,894 ლარის ღირებულების საწვავი.

²¹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 განკარგულება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“, მუხლი 3.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის სუბსიდიის „სხვა დანარჩენი ხარჯის“ (2.5.1) მუხლიდან საწვავზე გაწეულ იქნა 522,142 ლარის ღირებულების ხარჯი, რაც საწვავ/საპოხ მასალებზე გაწეული ხარჯის (2.2.8.1) 52%-ს შეადგენს. „სუბსიდიის“ მუხლიდან საწვავის ამგვარი მასშტაბური მოხმარება გაუმჭირვალეს ხდის საწვავის მოხმარებაზე წარმოდგენილ როგორც სახაზინო, ასევე საბალანსო ინფორმაციას.

2.8 „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მოთხოვნებთან შესაბამისობა

- 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი გაზრდილია ჯამურად 6,025 ათასი ლარით, შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი გაზრდილია 2,062 ათასი ლარით, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯი - 63 ათასი ლარით. სამინისტროს არ წარუდგენია ფინანსთა სამინისტროსთვის შესაბამისი დასაბუთება 2014 წელთან შედარებით ხარჯების ზრდის თაობაზე, რაც შეუსაბამობაშია განკარგულების დანართის - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპები“ მე-6 პუნქტის მოთხოვნასთან;
- საწვავის საკასო ხარჯების ფარდობა 2014 წელთან მიმართებაში:

ცხრილი 8

დასახელება	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი ლარებში (საკასო)				
	2014	2015	2016	ფარდობა 2014 - 2015	ფარდობა 2014 - 2016
	საწვავი	საწვავი	საწვავი	საწვავის (ზრდა / კლება)	საწვავის (ზრდა / კლება)
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და კონტროლირებული ერთეულები ერთად	1,583,165	1,352,377	1,199,410	-15%	-24%
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი	179,752	147,927	118,426	-18%	-34%
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	200,707	204,709	186,030	2%	-7%
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	121,133	103,814	88,230	-14%	-27%
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	78,724	72,712	74,308	-8%	-6%
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	58,741	59,710	56,347	2%	-4%
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14,966	9,381	11,458	-37%	-23%
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	15,314	15,957	12,254	4%	-20%
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	75,230	71,976	46,877	-4%	-38%
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8,771	7,454	4,466	-15%	-49%
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	36,230	29,516	21,046	-19%	-42%
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	36,584	28,413	28,487	-22%	-22%

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	18,155	11,585	10,179	-36%	-44%
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	20,102	19,504	17,112	-3%	-15%
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	35,398	30,805	30,470	-13%	-14%
სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	106,178	39,429	59,593	-63%	-44%
სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ბიომედიცინის ცენტრი	5,358	4,540	2,597	-15%	-52%

რიგ შემთხვევებში არ არის დაკმაყოფილებული განკარგულების მოთხოვნა²², რომლის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით.

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარ წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელების პასუხისმგებლობაა შეაფასონ კომპანიის უნარი - განაგრძოს უწყვეტი მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ორგანიზაციამ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყლავნონ ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენონ აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან თუ მათ არ აქვთ რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცნენ.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

²² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპები“, პუნქტი 6.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი გამოავლენს არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ჩვენ აგრეთვე:

ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით დაშვებული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის სისუსტეს.

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან, და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და დირექტორების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.

ვასკვნით, დირექტორების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ორაგანიზაციის უნარში, განაგრძოს ფუნქციონირება. თუ გამოვლინდა არსებითი უზუსტობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები შეუფერებელია - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ საწარმოს ფუნქციონირებადობის საკითხი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგად ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ტრანზაქციების და მოვლენების უტყუარად წარდგენის კრიტერიუმებს.

მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს ფარგლებში ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციისა და საქმიანი აქტივობების შესახებ, რომ შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, გაკონტროლებაზე და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს დასკვნაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ ხელმძღვანელობას ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნის თარიღი: 27.02.2018წ.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ნოდარ გაბედავა

წამყვანი აუდიტორი

ლამა ლაშია

უფროსი აუდიტორი

ასმათ ლილუაშვილი

აუდიტორი

კახა კუპრავა

აუდიტორ - ასისტენტი

ნინო გოზალიშვილი

აუდიტორ - ასისტენტი

ილია ლომაური

აუდიტორ - ასისტენტი

ნოდარ გაბედავა

ლამა ლაშია

ასმათ ლილუაშვილი

კახა კუპრავა

ნინო გოზალიშვილი

ილია ლომაური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართები

ფორმა N1				
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)				
	დასახელება	ანგარიში	2016 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	126,314,108.00	133,979,840.00
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	41,160,357.00	35,905,500.00
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	28,308,614.00	92,704,161.00
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	16,683,895.00	16,053,282.00
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		212,466,974.00	278,642,783.00
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,064,079.00	7,510,798.00
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-

110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	10,454,632.00	11,290,678.00
120	ძირითადი აქტივები	2100	975,101,423.00	899,536,533.00
130	ფასეულობები	2300	699,683.00	745,810.00
140	არაწარმოებული აქტივები	2400	357,994,664.00	343,989,779.00
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		1,348,314,481.00	1,263,073,598.00
160	ბალანსი		1,560,781,455.00	1,541,716,381.00
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	455,986.00	390,781.00
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	35,488,526.00	54,350,897.00
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		35,944,512.00	54,741,678.00
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	215,984.00	215,984.00
230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		215,984.00	215,984.00
240	სულ ვალდებულებები		36,160,496.00	54,957,662.00

250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,285,693,172.00	1,280,103,164.00
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	238,927,787.00	206,655,555.00
280	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290	სულ კაპიტალი		1,524,620,959.00	1,486,758,719.00
300	ბალანსი		1,560,781,455.00	1,541,716,381.00

ფორმა N2					
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში					
დასახელება		2016 წლის 31 დეკემბრისათვის (საანგარიშო წელი)			2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	949,406,970.62		949,406,970.62	827,021,333.21
020	შემოსავლები (030+040+050+060)	65,670,154.00	822,802,876.00	888,473,030.00	812,672,276.14
030	გადასახადები	276.00		276.00	
040	სოციალური შენატანები	-		-	
050	გრანტები	64,918,463.00	21,487,629.00	86,406,092.00	100,696,392.67
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	751,415.00	801,315,247.00	802,066,662.00	711,975,883.47
070	ა) ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	17,463,794.00	17,463,794.00	9,825,475.00
080	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	769,201,620.00	769,201,620.00	675,709,937.96
090	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	53,351.00	82,049.00	135,400.00	370,007.52

100	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	696,969.00	3,385,225.00	4,082,194.00	14,703,195.09
110	ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,095.00	11,182,559.00	11,183,654.00	11,367,267.90
120	სულ (010+020)	1,015,077,124.62	822,802,876.00	1,837,880,000.62	1,639,693,609.35
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	26,519,604.00	570,830,085.00	597,349,689.00	511,268,153.36
150	საქონელი და მომსახურება	77,979,654.00	196,541,799.00	274,521,453.00	246,493,899.62
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23,727,560.00	12,913,167.00	36,640,727.00	32,727,385.00
170	პროცენტი	-	1,168.00	1,168.00	23.00
180	სუბსიდიები	43,447,068.00	-	43,447,068.00	37,345,729.00
190	გრანტები	96,998,006.00	632,095.00	97,630,101.00	109,758,160.00
200	სოციალური უზრუნველყოფა	2,694,875.00	2,327,415.00	5,022,290.00	4,475,309.00
210	სხვა ხარჯები	748,889,756.00	15,643,068.00	764,532,824.00	620,863,386.85

220	სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	1,020,256,523.00	798,888,797.00	1,819,145,320.00	1,562,932,045.83
230	ფინანსური შედეგი (120-220)	(5,179,398.38)	23,914,079.00	18,734,680.62	76,761,563.52

ფორმა N3					
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში					
დასახელება		ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	5,590,008.00	32,272,232.00		37,862,240.00
020	კორექტირებები: ¹	18,770,905.00	20,405,988.00	—	39,176,893.00
030	ცვეთა (+)	23,727,560.00	12,913,167.00		36,640,727.00
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(40,960,929.00)	379,192.00		(40,581,737.00)
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(491,887.00)	(138,726.00)		(630,613.00)
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	801,765.00	34,281.00		836,046.00
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	61,708,708.00	250,921.00		61,959,629.00
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(26,014,312.00)	6,967,153.00		(19,047,159.00)

090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	24,360,913.00	52,678,220.00	-	77,039,133.00
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები				-
130	სტრატეგიული მარაგები				-
140	ფასეულობები				-
150	არაწარმოებული აქტივები				-
160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	44,031,783.26	40,799,208.53	-	84,830,991.79
170	ძირითადი აქტივები	44,031,233.26	40,786,649.77		84,817,883.03
180	სტრატეგიული მარაგები	-	-		-
190	ფასეულობები	-	-		-
200	არაწარმოებული აქტივები	550.00	12,558.76		13,108.76
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(44,031,783.26)	(40,799,208.53)	-	(84,830,991.79)

220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	60,921.00			60,921.00
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	65,205.00	-		65,205.00
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	126,126.00	-	-	126,126.00
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	(19,544,744.26)	11,879,011.47	-	(7,665,732.79)
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	3,410,134.00	130,569,706.00		133,979,840.00
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	3,035,700.08	123,278,407.92		126,314,108.00
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)				-
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				-

ფორმა N4				
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში				
N	დასახელება		(საანგარიშო წელი)	
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1,280,103,164.00	206,655,555.00	1,486,758,719.00
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	15,471,904.00	27,900,129.00	43,372,033.00
030	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	11,577.00	10,662,331.00	10,673,908.00
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15,460,327.00	17,237,798.00	32,698,125.00
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	3,272,200.94	11,861,074.06	15,133,275.00
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	5,491.00	7,948,252.00	7,953,743.00
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3,266,709.94	3,912,822.06	7,179,532.00
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	1,430,299.00	7,680,903.00	9,111,202.00
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,430,299.00	1,964,617.00	3,394,916.00
100	მოგების გადასახადი	-	5,716,286.00	5,716,286.00
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(5,179,398.38)	23,914,079.00	18,734,680.62
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	1,285,693,169.68	238,927,785.94	1,524,620,955.62

ფორმა N5								
ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში								
დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის %	საკასო ხარჯი	გადახრა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის %	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	891,640,000.00	902,923,241.00	1.27%	905,214,179.18	0.25%	1,020,256,523.00	115,042,343.82
020	მათ შორის:							
030	შრომის ანაზღაურება	26,777,000.00	26,659,818.00	-0.44%	26,519,735.25	-0.53%	26,519,604.00	(131.25)
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	60,400,000.00	43,748,802.00	-27.57%	44,031,717.91	0.65%	44,031,717.91	-
050	ფინანსური აქტივების ზრდა		-	0.00%	12,626,732.00	0.00%	-	(12,626,732.00)
060	ვალდებულებების კლება		106,136.00	0.00%	161,072.44	51.76%		(161,072.44)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE